

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/57

2018 წლის 14 თებერვალი

ქ. თბილისი

**„ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებულ „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებში“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

**„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:**  
**მუხლი 1**

„ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებულ „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებში“ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 117,31/08/2006წ., სარეგისტრაციო კოდი: 300.300.000.22.025.009.162) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

**1. მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ.ბ) ყოველი კალენდარული წლის 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე – ფიქსირებული ტარიფის მქონე იმ მარეგულირებელი ელექტროსადგურის ტარიფით, რომელსაც კომისიის მიერ დადგენილი აქვს წარმოების ყველაზე დაბალი ტარიფი, მაგრამ არაუმეტეს კომისიის მიერ შესაბამისი კვალიფიციური საწარმოსთვის დადგენილი წარმოების ტარიფის ზედა ზღვრისა.“;

**2. მე-14 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ვ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„ვ) დერეგულირებული ელექტროსადგურის მფლობელ კვალიფიციურ საწარმოსთან, გარდა ამ მუხლის „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა:

კ.ა) ყოველი კალენდარული წლის 1 სექტემბრიდან 1 მაისამდე – იმ ჰიდროელექტროსადგურის ტარიფის ზედა ზღვრით, რომელსაც კომისიამ დაუდგინა ყველაზე მაღალი ტარიფი;

კ.ბ) ყოველი კალენდარული წლის 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე – ფიქსირებული ტარიფის მქონე იმ მარეგულირებელი ელექტროსადგურის ტარიფით, რომელსაც კომისიის მიერ დადგენილი აქვს წარმოების ყველაზე დაბალი ტარიფი.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ეკონომიკისა და  
მდგრადი განვითარების მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

